



პროექტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

სტრატეგიული განვითარების გეგმა

2025 – 2031



შინაარსი

	რექტორის წინასიტყვაობა	3
1	მისია, ღირებულებები და ხედვა	5
1.1.	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტრატეგია მესამე მისიის განხორციელებაში	7
2	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია და საქმიანობა (2018-2024)	8
3	სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია	21
4	SWOT ანალიზი	23
5	სტრატეგიული პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები	26
6	მონიტორინგი და შეფასება	33
7	სამოქმედო გეგმა (2025-2027)	34

რექტორის წინასიტყვაობა



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ისტორია 1918 წლის 17 ივნისს იწყება, როდესაც რამდენიმე თვის წინ დაარსებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (კავკასიაში პირველი უნივერსიტეტი) პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით გაიხსნა სამედიცინო ფაკულტეტი. 1930 წლის 10 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის შედეგად დაარსდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი.

შესაბამისად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დამოუკიდებლად არსებობის ისტორია საუკუნეს უახლოვდება, მისი აკადემიური ისტორია კი უკვე საუკუნეზე მეტს ითვლის და საქართველოში სამედიცინო განათლების საძირკველს წარმოადგენს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უკვე დიდი ხანია დაიმკვიდრა თავი, როგორც ცოდნისა და კვლევის მაღალი აკადემიური ხარისხის, დემორატიული მართველობის, გამჭვირვალე მენეჯმენტისა და აკადემიური თავისუფლების ხელშეწყობისადმი ურყევი ერთგულების ძქონე ინსტიტუციამ. სწორედ ეს ძირითადი პრინციპი უზრუნველყოფს სწრაფად განვითარებადი სამედიცინო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მაღალი სტანდარტის შენარჩუნებას, მუდმივ სწრაფვას სრულყოფისკენ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი თანამშრომლობს მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან და საუნივერსიტეტო კლინიკებთან, რომლებთანაც ურთიერთობა რეგულირდება ორმხრივი ხელშეკრულებებით და/ან მემორანდუმებით, ერთობლივი საერთაშორისო პროექტებით (ERASMUS+, HORIZON EUROPE და სხვა). უნივერსიტეტი არის ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ასოციაციების წევრი; ყოველწლიურად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები, რეზიდენტები, აკადემიური და ადმინისტრაციული ჰერსონალი, მეცნიერები და ექიმები მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო მობილობის პროგრამებში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ყოველწლიურად იწვევს პროფესიონალური კვალიფიკაციების უზრუნველყოფას, ამშ-დან, დიდი ბრიტანეთიდან, ისრაელიდან, თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან, ლექციების, პრაქტიკული მეცადინებების, საჩვენებელი ოპერაციებისა და პაციენტთა კონსულტაციების ჩასატარებლად.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ყოველწლიურად იზრდება საერთაშორისო სტუდენტთა რიცხვი. დღესდღეობით თსსუ-ში 84 ქვეყნის 3500-ზე მეტი საერთაშორისო სტუდენტი სწავლობს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ფლობს მძღავრ კლინიკურ და კვლევით ბაზებს: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა, თსსუ-ის გივი უვანის სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა, შ.3.ს. „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა“, თსსუ-ის აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკა, თსსუ-ის N1 სტომატოლოგიური კლინიკა, თსსუ-ის იოველ ჭუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი,

თსსუ-ის ვლადიმერ ბაზუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი. ასევე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო დეპარტამენტები თსსუ-ის სხვადასხვა, პარტნიორ თუ ავილირებულ კლინიკაში ფუნქციონირებს. კენ ვოლუერის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკაში განთავსებულია თსსუ-ის სარეაბილიტაციო მიმართულების უცდა სტრუქტურული ერთული, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სასწავლო დეპარტამენტები.

აღსანიშნავია, რომ 2025 წელს ფსიქიატრიის და ნარკოლოგიის კლინიკის, მრავალფუნქციური შენობისა და სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მშენებლობის დასრულება იგებმება.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები საქართველოს და მსოფლიოს სხვადასხვა წამყვან კლინიკებში მუშაობენ და საუკეთესო ავტორიტეტით სარგებლობენ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მუდმივად მზარდი საგანმანათლებლო, სამეცნიერო შესაძლებლობები და კვლევითი რესურსები ასახვას ჰქონებს ძალისა და მაღალი კულტურული მდგრადი განვითარების მიზანისათვის.

მეტად მნიშვნელოვანია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის როლი და პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის საქმეში, რაც ნათლად დაადასტურა კოვიდანდემიამაც. პანდემიის წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკები, მათი უქიმები, თსსუ-ის სტუდენტები, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი საკუთარი ჯანმრთელობის რისკის ფასად, დაუდალავად იდგნენ „წინა ხაზზე“ უხილავ მტერთან ბრძოლაში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი თავისი არსით, მიზნებითა და ფუნქციით ერთ-ერთი უძნიშვნელოვანესი დასაყრდენია ქვეყნისთვის. თსსუ-ის სტუდენტებს, რეზიდენტებსა და თანამშრომლებს, კურსდამთავრებულებს, თსსუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, კლინიკების თითოეულ წარმომადგენელს აქვს და უქნება შემდგომი პროფესიული სრულყოფისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის განვითარების საქმეში საკუთარი წვლილის შეტანის შესაძლებლობა.



პროფესორი ირაკლი ნატროშვილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის რექტორი

1.მისია, ღირებულებები და ხედვა

მისია



სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის - თითქმის ცხრა ათეულწლიანი ისტორიის მქონე ავტონომიური უნაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების [შისკა:](#)

- დიპლომამდელ და დიპლომისშემდგომ სამედიცინო განათლებაში სწავლების, კვლევის და პროფესიული მზადების გზით **ახალი ცოდნის შექმნა და გავრცელება,**
- მონაწილეობა მოსახლეობის **სიცოცხლის ხარისხის ამაღლების, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის** განვითარებასა და განხორციელებაში,
- კურსდამთავრებულების აღჭურვა ეროვნულ და საერთაშორისო პროფესიულ საზოგადოებაში ჰარმონიული ინტეგრაციისათვის **აუცილებელი ცოდნით და უნარებით.**

ხედვა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლება, კვლევა და სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობა ურთიერთისგან განუყოფელია. უმაღლესი სამედიცინო განათლების კონტინუუმის პრინციპი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია დიპლომამდელი, დიპლომისშემდგომი, და უწყვეტი პროფესიული განვითარების, სამედიცინო და პედაგოგიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების ფართომასშტაბური მოქმედებით.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს განსხვავებული საჭიროებების სტუდენტზე ორიენტირებულ და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობებს. თსსუ-ში ფუნდამენტური და კლინიკური მეცნიერებების სწავლება და კვლევა ქართულ-, ინგლისურ- და რუსულენოვანი აკადემიური დიპლომამდელი (საბაკალავრო, ერთსაფეხურიანი), სამაგისტრო, სადოქტორო და დიპლომისშემდგომი განვითარების საქართველოს და 84 ქვეყნის მოქალაქეებთან მიმდინარეობს კონკურენტული საერთაშორისო სამედიცინო განათლებისათვის აუცილებელი ძირითადი მიმართულებებით: დარგობრივი აკადემიური ცოდნა, ინფორმაციის მართვა, კლინიკური აზროვნება, პრაქტიკული და კომუნიკაციური უნარ-ჩვევები. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი არის ლიდერი საქართველოში და მომავალში კვლავაც გააძლიერებს თავის ლიდერულ პოზიციას, როგორც სამედიცინო განათლებისა და კვლევის საერთაშორისოდ აღიარებული კერა ქვეყანასა და კავკასიის რეგიონში.

ღირებულებები

- სწავლების და კვლევის აკადემიური თავისუფლება,
- სწავლის, სწავლების, კვლევის აკადემიური ხარისხი,
- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა პროფესიული განვითარება,

- ავტონომიურობა,
- დემოკრატიულობა,
- მართვის ორგანოების არჩევითობა და გამჭვირვალობა,
- აკადემიური, პროფესიული და კვლევითი თანამშრომლობის ინტერნაციონალიზაცია,
- საგანმანთლებლო, კვლევითი და პროფესიული საქმიანობის ტრადიციების განვითარება,
- პროფესიული ეთიკის პრინციპების და პასუხისმგებლობის განუხრელი დაცვა,
- ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა,
- სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვა.

გამოყენებული წყაროები

1. საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ. 2001;
2. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. 2004;
3. საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ, 2010.
4. უმაღლესი სამედიცინო განათლების დარგობრივი მახასიათებელი, 2022.
5. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდება
6. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებები
7. WFME Standards for Basic Medical Education. The 2020 revision
8. WFME Standards for Postgraduate Medical Education. 2023 revision
9. WFME Standards for Continuing Professional Development. 2015

1.1. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტრატეგიული მესამე მისიის განხორციელებაში

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესმა განაპირობა უნივერსიტეტის აქტიური ჩართვა ე.წ. **მესამე მისიის** გაზიარებისა და განხორციელების პროცესში. მესამე მისია გულისხმობს უნივერსიტეტის საქმიანობას, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას და ორიენტირებულია, გაზარდოს საუნივერსიტეტო საზოგადოების შესაძლებლობები, სწორად დაგეგმოს მესამე მისიის აქტივობები და შეაფასოს შედეგები.

თსუ-ის მისია სრულად შეესაბამება მესამე მისიის მოთხოვნებს, სახელდობრ, გაცხადებულია: „**მონაწილეობა მოსახლეობის სიცოცხლის ხარისხის ამაღლების, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარებასა და განხორციელებაში**“. თსუ, გარდა განათლებისა და კვლევისა, აქტიურად მონაწილეობს მესამე მისიის შესაბამის საქმიანობებში, რომლებიც მიმართულია საზოგადოებისა და საზოგადოებრივი სიკეთისთვის.

თსუ-ში შემუშავებულია **მესამე მისიის შემდეგი ძირითადი მიმართულებები:**

- სასწავლო პროგრამების მოდიფიკაცია მესამე მისიის შესაბამისი სასწავლო კურსების (მაგ. ბიზნესის საფუძვლების, ინოვაციების მენეჯმენტის, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების და სხვ.) შემუშავება და შეთავაზება.
- ბიომედიცინის სფეროში განხორციელებული კვლევების შედეგების გამოყენება მოსახლეობის ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად. უნივერსიტეტში ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც წახალისებს კვლევის შედეგების კომერციალიზაციას (ახალი წამლების, სადიაგნოზო და სამკურნალო მოწყობილობების შექმნის, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით).
- ერთობლივი კვლევითი პროექტების შემუშავება, რომლებსაც გააჩნიათ კომერციული პოტენციალი და ამ გზით აკადემიური კვლევების „მორგება“ სამეწარმეო შესაძლებლობებთან. სამეწარმეო განათლება შეიძლება იყოს ინტეგრირებული სასწავლო გეგმაში, რათა აღიჭურვის სტუდენტები იმ უნარ-ჩვევებით, რომლებიც საჭიროა წარმატებული წამოწყებების დასაწყებად და სამართავად.
- საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავება საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფებისთვის ჯანმრთელობის სერვისების გასაუმჯობესებლად; მონაწილეობა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის სკრინინგის პროცესსა და ვაქცინაციის ჩატარებაში.
- საჯარო ლექციები და სემინარები: საზოგადოებისთვის ღია ღონისძიებების (საჯარო ლექციების, სემინარების, სატელევზიო გადაცემების და სხვ.) ორგანიზება ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ თემებზე.
- ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის და თანასწორობის ხელშეწყობა.
- მონაწილეობა ჯანდაცვის სისტემის ანალიზში და შესაბამისი რეკომენდაციების, საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავება.
- საზოგადოების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, თანამშრომლობა ჯანდაცვის პოლიტიკის შემქმნელებთან დაჯანდაცვის პროვაიდერებთან ეფექტური ჯანდაცვის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებისთვის.
- თანამშრომლობა საზღვარგარეთ არსებულ ორგანიზაციებთან ჯანდაცვის გლობალური გამოწვევების გადასაჭრელად, ცოდნის გაზიარებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის გასაუმჯობესებლად.
- ჯანმრთელობასთან დაკავშირებული უწყვეტი განათლების და მიკროკრედიტების კურსების შეთავაზება მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისთვის
- უსაფრთხო გარემოს და მდგრადი ჯანდაცვის პრაქტიკის დანერგვა და ხელშეწყობა.
- გარემო ფაქტორების ჯანმრთელობაზე ზემოქმედების რისკების კვლევა და ამ რისკების შესამცირებლად შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ისტორია და საქმიანობა (2018-2024)

ისტორია



უმაღლესი სამედიცინო განათლების ისტორია საქართველოში საუკუნეს ითვლის და ეს, რეალურად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ისტორიაა. იგი სათავეს იღებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტის დაარსებიდან (1918 წელი), მოიცავს ამ ფაკულტეტის ფუნქციონირების პერიოდს, ფაკულტეტის მესვეურთა - ცნობილ ექიმთა, მეცნიერთა და პედაგოგთა აქტიური ქმედებით სამედიცინო ინსტიტუტის დაარსებას (1930 წელი), მის რეფორმირებას თბილისის სახლემწიფო სამედიცინო უნივერსიტეტად (1992 წელი) და, შემდგომ, თითქმის ოცდაათწლიან პერიოდს დღემდე. სამკურნალო ფაკულტეტი, სამედიცინო ინსტიტუტი, სამედიცინო უნივერსიტეტი - ეს ერთი ტრადიციული და ღირსეული უმაღლესი სასწავლებლის განვითარების საფეხურებია.

1918 წლის 8 თებერვალს, ქართველი მეფის, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, საზეიმოდ გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი. მას შემდეგ ეს დღე ერთი ისტორიაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თარიღად რჩება. უნივერსიტეტის დაარსების უპირველესი ინიციატორი საპატიო პროფესორი ივანე ჯავახიშვილი სამედიცინო ფაკულტეტის შექმნის მიზეზებზე წერდა: "ჩვენი სამშობლოს ბუნებაც, უძრავი და მოძრავი, უტყვი და ძეტყველი, იძდენად საყურადღებოა მკვლევარისთვის, ადგილობრივი პირობებისა გამო, კაცის სხვადასხვა სწერულებას იძდენი ჯერ კიდევ შეუსწავლელი განსხვავებული თვისება აქვს, რომ აქაც ჩვენ უმაღლეს სასწავლებლის ძრიღირ ბუნებისმეტყველთა და სამკურნალო ფაკულტეტს ფართო და საპატიო სამოქმედო ასპარეზი ექნება".

სამკურნალო ფაკულტეტის დაფუძნების აქტიური მომხრე იყო უნივერსიტეტის პირველი რექტორი, პროფესორი პეტრე მელიქიშვილი. 1917 წლის 12 ოქტომბერს მან ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების სხდომაზე გამოთქვა თავისი აზრი სამედიცინო და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის გახსნის აუცილებლობის შესახებ.


1918 წლის 27 თებერვალს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ დაადასტურა სამკურნალო ფაკულტეტის შექმნის აუცილებლობა, ხოლო 17 ივნისს იმავე საბჭომ ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების თავმჯდომარის სპირიდონ ვირსალაძის თანდასწრებით მიიღო გადაწყვეტილება, რომ გახსნილიყო მათემატიკის, საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტი.

1930 წლის 10 ივნისს განხორციელდა თბილისის უნივერსიტეტის რეორგანიზება და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ცალკე გამოეყო, რაც გახდა საქართველოში უმაღლესი სამედიცინო განათლების და სამედიცინო მეცნიერებების განვითარების მძღავრი სტიმული.

2006 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შეუერთდა საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია. იმ დროიდან მოყოლებული თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (თსსუ) გახდა წამყვანი უმაღლესი სამედიცინო დაწესებულება კავკასიის რეგიონში. თსსუ იყო პირველი უნივერსიტეტი პოსტსაბჭოთა სივრციდან, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის (EUA) პროექტში SOCRATES - Quality Culture, ხოლო 2002-2003 წლებში გაიარა ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის ექსპერტების გარე შეფასება.

2009-2011 წწ. თსსუ იყო ერთადერთი არაევროკავშირის წევრი ქვეყნიდან, რომელიც მონაწილეობდა თემატურ პროექტში MEDINE 2 (Medical Education in Europe), რომელიც მიზნად ისახავდა ევროკავშირის ქვეყნებში დიპლომამდელ სამედიცინო განათლებაში კომპეტენციებზე დაფუძნებული პროგრამის შემუშავებას და დანერგვას. 2011-2014 წწ თსსუ მონაწილეობდა ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ TEMPUS-ის პროექტში MUMEENA ("Modernizing Undergraduate Medical Education in the EU Eastern Neighboring Area"), რომელიც დასრულებისას მიჩნეული იყო იმ წლების ყველაზე წარმატებულ პროექტად.

საქმიანობა



2018 წელს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესეულებების ავტორიზაციის საბჭომ თსსუ-ს მიანიჭა შვიდწლიანი უპირობო ავტორიზაცია, რაც ამავდროულად გულისხმობს თსსუ-ის აღიარებას სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) მიერ.

მას შემდეგ თსსუ-მ წარმატებით განახორციელა 2018-2024 წწ. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული ამოცანები და, როგორც დაგეგმილი იყო, 2025 წლისთვის ნამდვილად ჩამოყალიბდა საერთაშორისო დონის სამედიცინო განათლების ცენტრად არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სამხრეთ კავკასიის რეგიონშიც, რასაც მოწმობს 2019 წელს თსსუ-ში ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE) საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრის გახსნა, რომლის მიზანია სამედიცინო განათლების საერთაშორისოდ აღიარებული ექსპერტების მიერ სწავლების, სწავლისა და შეფასების ინოვაციური მეთოდების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და შესაბამისი ტრენინგების ჩატარება უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების აკადემიური პერსონალისთვის. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში მხოლოდ ორი ასეთი ცენტრია შექმნილი, მათგან ერთი საქართველოა, რომელიც თსსუ-შია გახსნილი.

2019 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა (თსსუ) მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო რეიტინგის პლატფორმის "Times Higher Education" და გაეროს ორი გლობალური მიზნების შესრულების შეფასებაში - „ჯანმრთელობა და კუთილდღეობა - Good Health and Wellbeing“ და „ინდუსტრიის, ინოვაციების და ინფრასტრუქტურის - Industry, Innovation and Infrastructure“.

შეფასება მოხდა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ქვეყნის მოსახლეობის ჯამრთელობასთან და კუთილდღეობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლება, ძირითადი დაავადებების კვლევა, ჯანდაცვის პროფესიონალთა მხარდაჭერა, თანამშრომლებისა და სტუდენტების ჯანმრთელობაზე ზრუნვა. რანჟირებაში მონაწილეობა მიიღო 80 ქვეყნის 620 უმაღლესმა სასწავლებელმა. Times Higher Education Ranking ანალიტიკური ჯგუფის დასკვნის საფუძველზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა მსოფლიოს 620 უნივერსიტეტს შორის **288-ე** ადგილი დაიკავა თსსუ-სთვის ყველაზე მნიშვნელოვანი (**„ჯანმრთელობა და კუთილდღეობა“**) კრიტერიუმის მიხედვით.


თსსუ ასევე შევიდა მსოფლიოს უნივერსიტეტების **თთხ ასეულში** კატეგორიის „ინდუსტრია, ინოვაციები და ინფრასტრუქტურა“ მიხედვით, რომლის შეფასება მოხდა პატენტების, ინოვაციების, კვლევების, ინფრასტრუქტურის განვითარების და მიღებული შემოსავლების შეფასების შედეგად.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში არის ექვსი ფაკულტეტი:

- მედიცინის
- სტომატოლოგიის
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის
- ფარმაციის
- ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის
- მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო

უნივერსიტეტს გააჩნია ორი კვლევითი ინსტიტუტი - სამედიცინო ბიოტექნოლოგიის და ფარმაკოქიმიის ინსტიტუტები; უნივერსიტეტში ხორციელდება 29 საგანმანათლებლო პროგრამა - 7 დიპლომამდელი სამედიცინო განათლების (ერთსაფეხურიანი), 6 საბაკალავრო, 11 სამაგისტრო, 4 სადოქტორო და 1 პროგრამა „ქართული როგორც მეორე ენა“ მომზადების ; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მოქმედებს დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საორგანიზაციო სტრუქტურა



ახალი 2025-2031 წწ. სტრატეგიული გეგმის შემუშავების უცილობელი წინაპირობაა წინა, ჯერ კიდევ მოქმედი, 2018-2024 წწ. სტრატეგიული გეგმის განხორციელების შეფასება.

ქვემოთ ჩამოთვლილია მხოლოდ ნაწილი იმ მნიშვნელოვანი წარმატებებისა, რომლებსაც თსუ-მ მიაღწია 2018-2024 წლებში და 2025-2031 წლებში დაგეგმილი საქმიანობები.


ინსტიტუციები განვითარება

ფინანსური რესურსები

2018-2024 წლებში:

2018 - 2024 წწ. სტრატეგიული გეგმის განხორციელების შედეგების შეფასება წარმოადგენს წინაპირობას მომდევნი 7 წლის (2025-2031 წწ.) სტრატეგიული გეგმის შემუშავებისთვის. უნივერსიტეტის წარმატებული მუშაობისთვის აუცილებელია ფინანსური მდგრადობა, უნარი მოზიდოს და რაციონალურად გაანაწილოს ფინანსური რესურსები.

2018 წლის შედარებით ბიუჯეტი გაიზარდა 63.6 %-ით.



2018-2024 წწ. სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენდა ფინანსური მდგრადიბის უზრუნველყოფა, რაც მიღწეული იქნა სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის ინფრასტრუქტურული და აკადემიური რესურსის განვითარების პროექტებში ინვესტიციების განხორციელების ხარჯზე. ამან კი, თავის მხრივ, განაპირობა სწავლის პროცესის ინტერნაციონალიზაცია და უცხოელი სტუდენტების სწავლებიდან მიღებული შემოსავლის მდგრადი ზრდის ტემპის უზრუნველყოფა. საანგარიშო პერიოდში ძირითადი საშუალებების შეძენისათვის და ინფრასტრუქტურულ პროექტებში, 2018-2024 წწ. ბიუჯეტის შესაბამისად, მთლიანი ინვესტიციების მოცულობამ 408.2 მლნ. ლარი შეადგინა. ხოლო აკადემიური პერსონალის ხელფასის საშუალო ზრდამ 77% შეადგინა.

2018-2024 წლებში უნივერსიტეტის მთლიანი შემოსავლის ზრდის ტემპი იყო საშუალოდ 66%-ი. 2024 წლის მიმდინარე პერიოდის შემოსავალი 2018 წელთან შედარებით 63.6 % -ით (71.9 მლნ. ლარით) გაიზარდა. ამასთან 2024 წლის მთლიანი რესურსი 2018 წელთან შედარებით 63.6%-ით (68 მლნ. ლარით) გაიზარდა.

გაუმჯობესდა მიმდინარე ხარჯების წილის მაჩვენებელი მთლიან რესურსში და 2018 წლის მაჩვენებელი 87.4%-ი, 2024 წლისათვის შემცირდა 86.2%-მდე.


დასახელება	2018 წელი (დაზუსტ.)	2019 წელი (დაზუსტ.)	2020 წელი (დაზუსტ.)	2021 წელი (დაზუსტ.)	2022 წელი (დაზუსტ.)	2023 წელი (დაზუსტ.)	2024 წელი (დამტკ.)
ნაშთი პერიოდის დასაწყისისათვი ს	30,242,762. 0	49,057,228. 0	67,411,766. 0	68,116,400. 0	85,601,300. 0	79,627,200. 0	26,340,000. 0
მიმდინარე პერიოდის შემოსავალი	76,754,992. 0	96,412,082. 0	98,273,534. 0	103,631,340. 0	130,643,696. 0	141,028,908. 0	148,660,000. 0
შემოსავალი სულ	106,997,754 .0	145,469,310 .0	165,685,300 .0	171,747,740 .0	216,244,996 .0	220,656,108 .0	175,000,000 .0
მ.შ. სწავლის საფასური	46,933,000. 0	47,786,211. 0	58,056,700. 0	61,391,500. 0	75,398,878. 0	78,339,200. 0	89,511,710. 0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროგრამული დაფინანსება	1,614,365.0	1,943,134.0	1,550,850.0	1,486,821.0	1,474,335.0	2,081,140.0	2,672,700.0
სამეცნიო- კვლევითი გრანტები	511,842.0	623,912.0	395,300.0	750,582.0	201,350.0	921,353.0	450,700.0

კანონმდებლობით ნებადართული საკუთარი შემოსავლები	27,695,785.0	46,058,825.0	38,270,684.0	40,002,437.0	53,569,133.0	59,687,215.0	56,024,890.0
მათ შორის სამეცნიერო საქმიანობა	1,633,285.0	1,350,000.0	1,400,000.0	1,353,704.0	1,360,911.0	1,270,000.0	1,500,000.0
სამეცნიერო საქმიანობა (კლინიკები)	25,995,500.0	39,925,900.0	34,343,500.0	35,545,000.0	45,741,500.0	52,201,000.0	47,993,000.0
სხვა ეკონომიკური საქმიანობა	67,000.0	4,782,925.0	2,527,184.0	3,103,733.0	6,466,722.0	6,216,215.0	6,531,890.0
ხარჯი სულ	93,177,982.0	106,886,012.0	158,804,033.0	140,269,673.0	192,337,933.0	205,862,535.0	169,200,000.0
შრომის ანაზღაურება	33,295,600.0	37,543,700.0	42,370,400.0	44,100,532.0	45,400,550.0	52,366,140.0	54,901,700.0
საქონელი და მომსახურება	27,574,778.0	34,621,441.0	40,540,433.0	46,398,114.0	54,702,040.0	60,778,906.0	62,119,900.0
სუბსიდიები	0.0	50,000.0	60,000.0	60,000.0	60,000.0	60,000.0	60,000.0
გრანტები	60,000.0	67,000.0	1,079,000.0	80,000.0	80,000.0	88,000.0	88,000.0
სოციალური უზრუნველყოფა	433,850.0	422,000.0	1,027,500.0	1,041,000.0	1,063,000.0	1,112,700.0	1,021,000.0
სხვა ხარჯები	5,789,948.0	6,933,400.0	4,281,100.0	5,609,452.0	6,851,130.0	8,499,162.0	9,937,200.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	26,023,806.0	27,248,471.0	32,445,600.0	42,980,575.0	83,181,213.0	82,957,627.0	41,072,200.0
ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	37,000,000.0	0.0	1,000,000.0	0.0	0.0
ნაშთი პერიოდის ბოლოსათვის	13,819,772.0	38,583,298.0	6,881,267.0	31,478,067.0	23,907,063.0	14,793,573.0	5,800,000.0

2025-2031 წლებში დაგეგმილია:

თასუ-ის ბიზნეს უწყვეტობის გეგმის და რისკების გათვალისწინებით, პროგნოზული ბიუჯეტის ზრდა ასევე 2025-2031 წლებშიც გაგრძლდება. უნივერსიტეტის საკუთარი შემოსავლების ზრდა განხორციელდება:

- საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობისა და მათ მიერ გადასახდელი სწავლის საფასურის ოპტიმიზაციის მეშვეობით;
- უნივერსიტეტისა და მისი სტრუქტურული ერთეულების მიერ შეთავაზებული სერვისების რაოდენობების ზრდით;
- კვლევითი ინსტიტუტების მიერ წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტის და რეალიზაციის არეალის ზრდით, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ;
- საგრანტო პროექტებიდან შემოსავლების შემდგომი ზრდით.



სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიუჯეტი, 2024 წელი დამტკიცებული და 2025-2031 წწ. პროგნოზი.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია 2024-2031 წწ. ბიუჯეტის ხარჯვითი კომპონენტის პროგნოზული მაჩვენებლები

დასახელება	2024 წელი (დამტკიცებული)	2025 წელი (პროგნოზი)	2026 წელი (პროგნოზი)	2027 წელი (პროგნოზი)	2028 წელი (პროგნოზი)	2029 წელი (პროგნოზი)	2030 წელი (პროგნოზი)	2031 წელი (პროგნოზი)
შემოსავალი სულ	175,000,000.0	180,000,000.0	185,000,000.0	190,000,000.0	195,700,000.0	201,500,000.0	207,500,000.0	213,700,000.0
ხარჯი სულ	169,200,000.0	174,133,000.0	179,238,000.0	184,375,000.0	189,915,000.0	195,532,000.0	201,369,000.0	207,383,000.0
მრომის ანაზღაურება	54,901,700.0	56,495,000.0	58,100,000.0	59,700,000.0	61,500,000.0	63,300,000.0	65,200,000.0	67,100,000.0
საქონელი და მომსახურება	62,119,900.0	63,900,000.0	65,800,000.0	67,700,000.0	69,731,000.0	71,823,000.0	73,977,000.0	76,200,000.0
სუბსიდიები	60,000.0	62,000.0	64,000.0	66,000.0	68,000.0	70,000.0	72,000.0	74,000.0
გრანტები	88,000.0	91,000.0	94,000.0	97,000.0	100,000.0	103,000.0	106,000.0	109,000.0
სოციალური უზრუნველყოფა	1,021,000.0	1,050,000.0	1,080,000.0	1,112,000.0	1,145,000.0	1,179,000.0	1,214,000.0	1,250,000.0
სხვა ხარჯები	9,937,200.0	10,235,000.0	10,500,000.0	10,800,000.0	11,124,000.0	11,457,000.0	11,800,000.0	12,150,000.0
არაფინანსური პეტიციების ზრდა	41,072,200.0	42,300,000.0	43,600,000.0	44,900,000.0	46,247,000.0	47,600,000.0	49,000,000.0	50,500,000.0

მატერიალური რესურსები

თსსუ საკუთრებაში ფლობს კლინიკურ ბაზებს (5 კლინიკა) და 2 სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, სადაც მიმდინარეობს სასწავლო, კლინიკური, კვლევითი და საწარმოო აქტივობები:

- თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა,
- თსსუ-ის გივი უვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა,
- თსსუ-ის და მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი-ინგოროვას საუნივერსიტეტო კლინიკა,
- თსსუ-ის აპ.ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკა,
- თსსუ-ის №1 სტომატოლოგიური კლინიკა,
- თსსუ-ის იოველ ქათათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი,
- თსსუ-ის ვლ.ბაზუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

2018-2024 წლებში:

- გარემონტდა სასწავლო კორპუსების ფართის დიდი ნაწილი 13670 კვ.მ.;

- აუდიტორიები და ადმინისტრაციული კორპუსი აღიჭურვა თანამედროვე ტექნიკითა და ავეჯით;
- თბილისიდან არაუმეტეს 35 კმ-ის რადიუსში, ორ ლოკაციაზე შეძენილ იქნა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთები, კვლევითი, სასწავლო და საწარმოო მიზნებისთვის, აღებულია პირველი მოსავალი;
- აიგო და აღიჭურვა მე-5 სასწავლო კორპუსი (2665 კვ.მ.);
- გამაგრდა, გარემონტდა და აღიჭურვა მე-2 სასწავლო კორპუსი (6800 კვ.მ.), ფუნქციონალური „სიცოცხლის მეცნიერებათა მუზეუმმა“;
- პირველი სასწავლო კორპუსის ვესტიბიულის თავზე 550 კვ.მ ფართობზე მოეწყო თანამედროვე კაფეტერია;
- ადმინისტრაციული კორპუსის ვესტიბიულის თავზე მოეწყო სივრცე, სადაც განთავსდა კაფეტერია, საბჭოებისა და საკონფერენციო დარბაზები;

2025-2031 წლებში დაგეგმილია:

- გამაგრდება პირველი სასწავლო კორპუსის მარჯვენა ფლიგელი და შემდგომ გარემონტდება შიდა სივრცეები;
- მწყობრში ჩადგება მულტიპროფილური შენობა, სადაც განთავსდება ამბულატორია, საოჯახო მედიცინის დეპარტამენტი, OSCE-ის 2 ცენტრი (თითოეული 20 სადგურზე), საგამოცდო ცენტრი, კლინიკური უნარების და მულტიდისციპლინური სიმულაციის სასწავლო ცენტრი, აკადემიური სწავლების სივრცე. დასრულების ვადად განსაზღვრულია 2025 წლის 30 აგვისტო;
- სრულად აღიჭურვება აღნიშნული შენობები;
- განხორციელდება საერთო საცხოვრებლის შესყიდვა, 800 პერსონის მიღების საშუალებით. პროცედურები დაწყებულია, დასრულების ვადად განსაზღვრულია 2025 წლის 31 დეკემბერი. შესყიდვის საგანია სრულად აღჭურვილი საერთო საცხოვრებელი;
- განხორციელდება ბიბლიოთეკის რეკონსტრუქცია, მოეწყობა სივრცეები ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობისათვის;
- შეიქმნება მწვანე ზონები, მოპირკეთდება ტერიტორია, დამონტაჟდება უსაფრთხოებისა და კონტროლის სხვადასხვა საშუალებები;
- უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მოეწყობა ავტოსადგომები;
- უნივერსიტეტის შიდა სივრცე სრულად განათდება თანამედროვე LED სანათებით;
- მოეწყობა და განახლდება IT ინფრასტრუქტურა (ინტერნეტის ქსელი).

ბიბლიოთეკა და საინფორმაციო ტექნოლოგიები

თასუ-ის ბიბლიოთეკა ორიენტირებულია უნივერსიტეტის პროფესურის, მკვლევარების, ყველა საფეხურის სტუდენტის და რეზიდენტების სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ინფორმაციულ ხელშეწყობასა და უზრუნველყოფაზე.

ბიბლიოთეკა

2018-2024 წლებში:

- შეძენილია 1246 დასახელების 1780 ინგლისურენოვანი, 620 ერთეული რუსულენოვანი და 6520 ქართულენოვანი სამედიცინო ლიტერატურა.
- წიგნების ელექტრონული ცირკულაციისთვის შეძენილია სპეციალური ელექტრონული მოწყობილობები, ბიბლიოთეკაში შემოსულ ყველა წიგნს მინიჭებული აქვს შტრიხოდი, რაც ახალ წიგნებზეც ვრცელდება.
- ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის (WHO) პროგრამის Research4life ელექტრონული ბაზების (HINARI, AGORA, OARE და ARDI) მოხმარების ლიცენზია
- გამომცემლობა "Proquest"-ის ელექტრონული წიგნების ბაზა;

- რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდის გრანტით უზრუნველყოფილია თავისუფალი წვდომა საგამოცემლო კორპორაცია Elsevier-ის ოთხ მონაცემთა ბაზაზე:
 - ScienceDirect - აკადემიური ჟურნალებისა და ელექტრონული წიგნების სრულტექსტოვანი ბაზა;
 - Scopus - რეფერირებული სამეცნიერო ლიტერატურის უმსხვილესი მონაცემთა ბაზა. სამეცნიერო კვლევის მიმოხილვის, სტატისტიკის, ციტირების და h-ინდექსი და სხვა ღირებული მონაცემები მკვლევარებისათვის და მკვლევარების შესახებ;
 - Funding Institutional - მოიცავს ინფორმაციას ამა თუ იმ თემატიკაში გაცემული ჯილდოების, გრანტების და დაფინანსების შესახებ. ეხმარება მომხმარებელს დროულად მოიძიოს აქტიური, ზუსტი დაფინანსების შესაძლებლობები 3500-ზე მეტი სამთავრობო და კერძო დაფინანსების ორგანიზაციიდან;
 - Scimago Journal & Country Rank
 - 2020 წელს შეძენილ ელექტრონული წიგნების ასატვირთი სპეციალურ პროგრამა Nexus-ში, უკვე ატვირთულია 1122 ელექტრონული წიგნი და სხვადასხვა მასალა. წაკითხულია 27523 ელექტრონული წიგნი.
 - 2019 წლიდან უნივერსიტეტმა შეიძინა საავტორო უფლებების დაცვისათვის განკუთვნილ პლაგიატის აღმომჩენი პროგრამა StrigepLAGIARISM-ი სადაც მიმდინარეობს წინა წლებში დაცული ნაშრომების ატვირთვა და დასაცავად გამზადებული სამაგისტრო და სადოქტორო ნამუშევრების შემოწმება და პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი რეგულაციების დაცვით მოქმედება.

2025-2031 წლებში დაგეგმილია:

- ბიბლიოთეკის რესურსების და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება
- ორიგინალური ქართულენოვანი სახელმძღვანელოების შექმნა
- დამატებით კომპიუტერების და სერვერების შეძენა
- ხელოვნური ინტელექტის გამოყენება
- სასწავლო პროცესის მართვის პროგრამული უზრუნველყოფა

საინფორმაციო ტექნოლოგიები

2018-2024 წლებში:

- 2018-2021 შეძენილია 162 დესკტოპი და 65 ლეპტოპი;
- 2019 წლიდან უნივერსიტეტი შეუერთდა სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებების საერთაშორისო ქსელს Eduroam (Education Roaming), რომელიც არის მსოფლიოს მასშტაბით ინტერნეტ-როუმინგის დაცული სერვისი, შექმნილი სამეცნიერო და საგანმანათლებლო საზოგადოებისთვის. საგანმანათლებლო როუმინგი ხორციელდება მომხმარებლის ინფორმაციის (სახელი და პაროლი) შემოწმებით მის ორგანიზაციაში განთავსებულ RADIUS სერვერზე. მისი საშუალებით უნივერსიტეტის თანამშრომლებს, მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნების სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებში ვიზიტისას საშუალება აქვთ ისარგებლონ უფასო ინტერნეტით.
- 2021-2022 პანდემიასთან დაკავშირებით ონლაინ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშრებით შეძენილია 50 დესკტოპი და 210 ლეპტოპი
- 2023 წლის განმავლობაში შეძენილი იქნა 100 სტაციონარული და 70 პორტატული კომპიუტერი, 50 მულტიფუნქციური სისტემა და 50 მედია-პროექტორი, რამაც კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა სწავლების ხარისხი.
- 2024 წლისათვის გათვალისწინებულია 70 დესკტოპის, 100 ლეპტოპის და 60 მულტიფუნქციური პრინტერის შეძენა

2025-2031 წლებში დაგეგმილია:

- (LMS) სასწავლო პროცესების მართვის სისტემის განვითარება: სასწავლო პროგრამებში თუ პროცესებში შეტანილი ცვლილებების შემთხვევაში ელექტრონულ სისტემაშიც მოხდება შესაბამისი მოდულების განახლება;
- სასწავლო ცხრილის ელექტრონული გენერაციის მოდულის შექმნა; საჭიროებისამებრ ახალი მოდულების შექმნა და არსებულის რეკონსტრუქცია. რელაციური მონაცემთა ბაზების ოპტიმიზება ინფორმაციის უფრო სწრაფად ამოღების მიზნით.
- სტუდენტთა დასწრებისა და აკადემიური მოსწრების აღრიცხვის ელექტრონული ურნალის ოპტიმიზება, მობილური ვერსიის შექმნა, რათა მომხმარებლებს წვდომის უფრო მეტი საშუალება პერსონალისა და მოდულების შექმნა და არსებულის განახლება; მონაცემთა ბაზების ოპტიმიზება.
- გვებგვერდის სტრუქტურული განახლება, ნავიგაციის სისტემის მოდერნიზება, საძიებო სისტემის მოდერნიზება ინფორმაციის მოძიების სისტრაფის გაზრდისათვის.
- OSCE-ს ორგანიზაციის და ჩატარების ოპტიმიზაციის მიზნით ელექტრონული პლატფორმის და პროგრამის შეძენა.

ინტერნაციონალიზაცია

2018-2024 წლებში:

- 2024 წლისთვის თსსუ-ში სწავლობს 3500-მდე უცხოელი სტუდენტი მსოფლიოს 84 ქვენიდან;
- უცხოეთის უნივერსიტეტებში სტაჟირება გაიარა 743-მა სტუდენტმს (სამივე საფეხურის), მათგან 224 უცხო ქვეყნის მოქალაქეა. ევროკავშირის Erasmus+ საერთაშორისო მობილობის პროგრამებში მონაწილეობა მიიღო ყველა საფეხურის 79-მა სტუდენტმა, რეზიდენტმა, დოქტორანტმა და 50- აკადემიურმა პერსონალმა.
- 2020-2023 წლებში თსსუ მონაწილეობდა Erasmus+ ინსტიტუციონალური თანამშრომლობის ორ პროექტში: SQUARE და SAFEMED+
- ორმხრივი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების და საერთაშორისო პროექტების ფარგლებში თსსუ-ს კლინიკებში სტაჟურება გაიარა 162 სტუდენტმა.
- თსსუ მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის და ასოციაციის წევრია (AMEE, EUA, IAUP, ESRUC, IFMSA, EMSA) და აქტიურად თანამშრომლობს WHO, WFME, ECFMG, DAAD, USAID-თან.

2025-2031 წლებში დაგეგმილია:

- Erasmus+ საერთაშორისო მობილობის პროგრამებში მეტი სტუდენტის, აკადემიური პერსონალის ჩართვა
- Erasmus+ ინსტიტუციონალური თანამშრომლობის პროექტებში მონაწილეობა (2024 წ. სამი პროექტი წარდგენილია დასფინანსებლად)
- უცხოელი პარტნიორ უნიდვერიტეტებთან ერთობლივი პროგრამების შემუშავება (ერთობლივი და ორმაგი კვალიფიკაციის აღიარებით)
- თსსუ-ის აკადემიურ და სამეცნიერო კვლევაში ჩართულ პერსონალში უცხოელი პროფესორების და მკვლევარების შეყვანა.

სწავლისა და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა

2018-2024 წლებში:

- ჩატარდა საქართველოში ჯანდაცვის ბაზრის მოკლე მიმოხილვა.

- განხორციელდა „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი პროგრამის ინტეგრაცია. მედიკინის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად პროგრამაში გაზრარდა ელექტრონი სასწავლო კურსების წილი.
- მეტი ყურადღება ექცევა კლინიკური უნარ-ჩვევების სწავლებას: ინტეგრირებული OSCE ტარდება სწავლების მექანიზმების სემესტრის ბოლოს (შინაგან სწავლებათა პროცედევტიკა, ბავშვთა სწავლებათა პროცედევტიკა, ზოგადი ქირურგია, კლინიკური ანატომია), VII-VIII სემესტრში მეანობა-გინეკოლოგიასა და პედიატრიაში, XII სემესტრის ბოლოს - თერაპიაში (შინაგან დაავადებათა მართვა და გერიატრიის საფუძვლები).
- გაიზარდა მისაღებ გამოცდაზე ჩასაბარებული საგნების მინიმალური დასაძლევი ბარიერის მაჩვენებელი, რაც მნიშვნელოვნად ზრდის უნივერსიტეტში სწავლების ხარისხს.
- სტომატოლოგიის ფაკულტეტზე შემოღებული იქნა კურსი „კომუნიკაციის უნარები“, რომელშიც გამოცდა OSCE-ით ტარდება.
- დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაზე 2024 წლიდან დაიწყო კლინიკური სწავლების და შესაბამისი შეფასების თანამდროვე მეთოდების პილოტირება: [WPBA](#) (სამუშაო ადგილზე შეფასება DOPS-ის, MiniCex-ის, CBD-ის და MSF მეშვეობით), ასევე მინდობილი პროფესიული საქმიანობის ([EPA](#)).
- განხორციელდა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მოდერნიზაცია;
- აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტში, ისევე როგორც AMEE-ს სართაშორისო თანამშრომლობის ცენტრში რეგულარულად ტარდებოდა ტრენინგები სამედიცინო განათლების უახლეს მეთოდოლოგიაში. თსუ-ის 50 თანამშრომელს მიერიქა AMEE-ს სპეციალისტის სერტიფიკატი სამედიცინო განათლებაში.
- 2023 წელს მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსდა CIF პროექტი „[OSTE-ს სადგურების დაწერებულ უძაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში \(GIOSTE\)](#)“, რომელიც გულისხმობს მასწავლებელთა შეფასების ინვაციური მეთოდის დანერგვას საქართველოს უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებში.

2025-2031 წლებში დაგეგმილია:

- თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის საჯაროდ ხელმისაწვდომი პოლიტიკის და ინსტრუმენტების, როგორც მისი სტრატეგიული მენეჯმენტის ნაწილის შემდგომი დახვეწა და განვითარება;
- თსუ-ში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაში ორმხრივი კავშირის ეფექტურობის გაზრდა ინსტიტუციურ კონტექსტსა და მის სტრატეგიულ მიდგომებს შორის;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მოქმედი ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ხარისხის უზრუნველყოფის / ხარისხის გაუმჯობესების შიდა და გარე პროცესების უწყვეტი განხორციელება და დახვეწა;
- სტუდენტთა მიერ ჩატარებული შეფასებების კვლევების უწყვეტი განხორციელება და დახვეწა;
- აკადემიურ პატიოსნებისა და აკადემიური თავისუფლების ინდიკატორების/მექანიზმების განვითარება და აკადემიური თაღლითობის წინააღმდეგ სიფხიზლის გაძლიერება;
- ხარისხის უზრუნველყოფაში გარე დაინტერესებული მხარეების (მათ შორის - დამსაქმებლების) ჩართვის გაძლიერება და საამისო ახალი მექანზმების შემუშავება;
- საგანმანათლებლო და კვლევითი პროგრამების როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით შეფასების შემდგომი გაუმჯობესება;
- პროგრამების არაპირდაპირი მეთოდით შეფასებისთვის მონაცემთა ბაზის (სტუდენტების მიღწევების შედეგზე ორიენტირებულ დავალებები, აქტივობები, სტუდენტთა კმაყოფილების, სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და ა.შ.) გაფართოება;
- შეფასების შედეგების შესაბამის სამიზნე ნიშნულებთან დადარების დახვეწა და შემდგომი გაუმჯობესება;

- საგანმანათლებლო პროგრამებისა განხორციელების/აკადემიური პროცესის მიმღინარეობის მონიტორინგის გაუმჯობესება;
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების პროცესის დახვეწა;
- სასწავლო კურსების სილაბუსების უწყვეტი განვითარება;
- პროგრამების სტრუქტურისა და შინაარსის შესაბამისობის მუდმივი მონიტორინგის პროცესის გაუმჯობესება;
- დარგობრივი მახასიათებლებისა და პროგრამების სწავლის შედეგების და მათი მიღწევადობის უზრუნველყოფისა და მონიტორინგის პროცესის გაუმჯობესება;
- კვლევითი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და შეფასების სისტემის გაუმჯობესება;
- ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაგეგმილ ტრენინგებში და აქტივობებში მონაწილეობა;
- სტუდენტზე ორიენტირებული სწავლისა და სწავლების განხორციელების ხელშეწყობა და გაუმჯობესება;
- სწავლების და შეფასების თანამედროვე, უახლესი მეთოდების დანერგვის და გამოყენების ხელშეწყობა.

დიპლომისშემდგომი განათლება და უწყვეტი პროფესიული განვითარება, სწავლა სიცოცლის მანძილზე

2018-2024 წლებში:

- თსსუ-ის დიპლომისშემდგომი განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტში ექიმებისთვის ტარდება ტრენინგი 75 პროგრამით, 2 - ექთნებისთვის, 4 - აკადემიური პერსონალისთვის, 4 - არასამედიცინო განათლების მქონე პირებისთვის.
- რეზიდენტურის სამსახური კოორდინაციას უწევს პოსტდიპლომური განათლების (რეზიდენტურას) 59 პროგრამას.

2025-2031 წლებში დაგეგმილია:

- არსებული დიპლომისშემდგომი პროგრამების მოდერნიზაცია
- უწყვეტი სამედიცინო განათლების ახალი პროგრამების შემუშავება

კვლევა

2018-2024 წლებში:

- განახლდა მედიცინის სადოქტორო პროგრამა, რომელიც აკრედიტებული იყო 2020 წელს.
- 2019 წლიდან თსსუ-ში ამოქმედდა ახალგაზრდა დოქტორანტთა წახალისების და დოქტორანტურაში ახალგაზრდების მოზიდვის გასაუმჯობესებელი ღონისიერების გატარების წესი, რომლის მოქმედება ვრცელდება 35 წლამდე ასაკის პირებზე.
- სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვის მიზანით თსსუ-ში ყოველწლიურად ტარდება სამეცნიერო ფესტივალები, სამეცნიერო ფორუმები, ეწყობა ღია კარის დღე დამამთავრებელი კურსების სტუდენტებთან.
- 2023 წლიდან ფუნქციონირება დაიწყო საცდელმა სამეცნიერო ნაკვეთებმა (2 ნაკვეთი, რომელზეც მოყვანილია ფარმაკოლოგიური კვლევებისა და პროდუქტების შექმნისთვის საჭირო მოსავალი).
- თსსუ-ის კვლევით ინსტიტუტებში განხორციელდა მნიშვნელოვანი ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევები რომლებშიც მონაწილეობდნენ ახალგაზრდა მკველვარები და სტუდენტები.

2025-2031 წლებში დაგეგმილია:

- **მიმდინარე და დაგეგმილი სამეცნიერო პროექტების ელექტრონული ბაზის შექმნა და ამოქმედება**
- ერაზმუს+ -ით მიღებული განვითარებითი პროექტის „HERD“-ის ფარგლებში ამოქმედებული ელექტრონული ბაზის ანალოგი ბაზის შექმნა როგორც შიდასაუნივერსიტეტო, ისე ქვეყნის მასშტაბით მოქმედი სამეცნიერო საინფორმაციო ქსელის განვითარების მიზნით.
- **საუნივერსიტეტო კვლევების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა იგეგმება საუნივერსიტეტო კვლევების პრიორიტეტული მიმართულების განსაზღვრა ბიოსამედიცინო დისციპლინების (საბაზისო, კლინიკური, ინტერდისციპლინური) მიმართულებით. აღნიშნულის განხორციელების მიზნით შემუშავდება პრიორიტეტების განსაზღვრის მაქსიმალურად ვალიდური მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა ინკლუზიურობა, ინფორმაციის შეგროვება, კვლევის შედეგების იმპლემენტაციის გზები, სარწმუნობის და სანდობის კრიტერიუმები, კვლევის შედეგების შეფასება, გამჭვირვალობა. მიღებული შედეგები ჰარმონიზებული იქნება მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის და „პორიზონტ ევროპას“ პრიორიტეტულ მიმართულებებთან.**
- **ინტერდისციპლინური, გამოყენებითი და ინოვაციური კვლევითი პროექტების ხელშეწყობის წესის შემუშავება**
შემუშავდება ინტერდისციპლინური, გამოყენებითი და ინოვაციური კვლევითი პროექტების განვითარების წესი. ამ ტიპის პროექტების ხელშეწყობის მიზნით აუცილებელია საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსთან თანამშრომლობის გააქტიურება, რაც გულისხმობს მათი პროექტების შესახებ ინფორმაციაზე წვდომის გაადვილებას და მათი თანამშრომლების რეგულარულ ვიზიტებს უნივერსიტეტში საინფორმაციო კამპანიის წარმართვის მიზნით.
- **პუბლიკაციების ხარისხის განვითარება**
შემუშავდება საერთაშორისო რეფერირებად და იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნების ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმი, რაც განიხილება ამ ტიპის ჟურნალებში თასუ-ის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მიერ პუბლიკაციების გამოქვეყნების ერთ-ერთ მოტივატორად.
- **ახალგაზრდა მეცნიერების ინტეგრაცია სამეცნიერო მუშაობაში.**
 - ა) პოსტსადოქტორო (Post-Doc) მუშაობის მხარდაჭერა დადგენილი ვადით.
თასუ-ში მოქმედი ახალგაზრდა დოქტორანტთა წახალისებისა და დოქტორანტურაში ახალგაზრდების მოზიდვის გასაუმჯობესებელი ღონისძიების ფარგლებში გათვალისწინებულია დოქტორანტების დასაქმება სულ მცირე ორი აკადემიური ვადით, რაც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს აკადემიური პერსონალის გაახალგაზრდავებას, ხოლო, მეორე მხრივ, შექმნის პოსტსადოქტორო მუშაობის მხარდაჭერის მყარ საფუძველს.
 - ბ) საზღვარგარეთ მოღვაწე, მათ შორის და უპირველესად - თასუ-ის კურსდამთავრებული, დოქტორანტებისა და პოსტდოქტორანტების რეინტეგრაციის მხარდაჭერა.
- შემუშავდება საზღვარგარეთ მოღვაწე დოქტორანტებისა და პოსტდოქტორანტების აქტიური რეინტეგრაციის ინსტრუმენტები, რაც გულისხმობს მათ ჩართვას არა მარტო სადოქტორო კვლევის პროექტებში ხელმძღვანელის ან სამეცნიერო კონსულტანტის სახით, არამედ მათ აქტიურ მონაწილეობას შიდასაუნივერსიტეტო კვლევებში.
- **სამეცნიერო კვლევების მდგრადობის უზრუნველყოფა.**
შემუშავდება შიდასაუნივერსიტეტო გრანტების მინიჭების წესი და მართვის მექანიზმები, რაც გულისხმობს კონკურსის წესით აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო გრანტების შეფასებას. ეს უკანასკნელი ჩატარდება გამჭირვალობის მაქსიმალური დაცვით და შეფასებაში სუბიექტურობის მინიმიზების მიზნით ე.წ. outsourcing-ის მექანიზმების გამოყენებით.
- ტრანსლაციური, კომერციალიზებადი და გამოყენებითი შედეგებზე მომართული კვლევების ინტეგრირება ინსტიტუტის პრიორიტეტულ მიმართულებაში

სტუდენტური სერვისები

2018-2024 წლებში:

- თსსუ-ში შექმნილია სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერული განვითარების სამსახური. აღნიშნული სამსახურის პრიორიტეტული მიმართულებებია:
 - საკარიერო სერვისის განვითარება და დასაქმების ხელშეწყობა;
 - სტუდენტებისთვის და კურსდამთავრებულთათვის დასაქმებისა და სტაჟირების ხელშეწყობა და ამ მიზნით თანამშრომლობის კოორდინირება სამოქალაქო, კერძო და სახელმწიფო სექტორთან.
 - თსსუ-ის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან კომუნიკაცია მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების დაგეგმვის და გადაწყვეტის მიზნით;
 - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის, სტუდენტური ორგანიზაციებისა და კლუბების კოორდინაცია და საქმიანობის ხელშეწყობა და ღონისძიებების უზრუნველყოფა;
 - სოციალური მხარდაჭერის პროგრამების განხორციელება;

2025-2031 წლებში დაგეგმილია:

- სწავლისა და სამეცნიერო კვლევის სფეროებში სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებების შემდგომი განვითარება
- სტუდენტების სამომავლო კარიერული ზრდის მხარდაჭერაების სერვისების განვითარება
- სტუდენტების აქტივობებისა და ინიციატივების ხელშეწყობა
- სტუდენტთა სოციალური მხარდაჭერა და წახალისება
- კურსდამთავრებულთა ჩართულობის გაძლიერება საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. კურსდამთავრებულებთან შეხვედრების, ტრენინგების, საჯარო ლექციების და მასტერკლასების ორგანიზება და განხორციელება;
- ვირტუალური საკონსულტაციო სერვისების ჩამოყალიბება სტუდენტებისთვის მარტივი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, როგორიცაა ფსიქოური ჯანმრთელობის მხარდაჭერა და კარიერული განვითარების რჩევები.
- თანატოლთა სწავლების პროგრამების დანერგვა, რათა ხელი შევუწყოთ სტუდენტებს შორის აკადემიურ მხარდაჭერას.

საზოგადოების განვითარებაში მონაწილეობა

2018-2024 წლებში:

- თსსუ-ის აკადემიური პერსონალი, დოქტორანტები და სტუდენტები აქტიურად მონაწილეობდნენ საჯარო ლექციების, კონფერენციების, ტელეგადაცემების ორანიზებასა და ჩატარებაში საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხებზე.
- C ჰეპატიტის აღმოფხვრის პროგრამის ფარგლებში და COVID-19 პანდემიის დროს თსსუ-ის პერსონალი და სტუდენტები აქტიურად მონაწილეობდნენ მოსახლეობის ინფორმირებაში ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის შესახებ და მონაწილეობდნენ ვაქცინაციის პროცესში.
- მიმდინარეობდა საკესპერტო საქმიანობა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი კვლევების და საკონსულტაციო საქმიანობის განხორციელებაში.
- არასამედიცინო საზოგადოებისთვის შემუშავდა მისი მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები და ჩატარდა ტრენინგები.
- ჩატარდა საინფორმაციო-პრაქტიკული შეხვედრები სკოლის მოსწავლეებთან მათთვის საინტერესო საკითხებზე.

2025-2031 წლებში დაგეგმილია:


- თსსუ-ის პერსონალის ინფორმირება მესამე მისით გათვალისწინებული საქმიანობების შესახებ და მათი განხორციელების სამოქმედო გეგმების შედეგენა;
- ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების კომერციალიზაციის და სამეწარმეო საქმიანობს ინიციატივა
- მოსახლეობის მოწყვლად ჯგუფებთან საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელება
- მესამე მისიასთან დაკავშირებული პროექტების შემუშავება

3. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია



თსსუ-ის სტრატეგიული გეგმა უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურის წარმომადგენლების (აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული მხარეები) ერთობლივი მუშაობის შედეგია, რასაც კოორდინაციას უწევს აკადემიური გავითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტი. 2023 წლის 9 ნოემბერს რექტორის ბრძანებით შეიქმნა თსსუ-ის 2025-2031 წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმის შემმუშავებელი ჯგუფი, რომლის შემადგენლობა განახლდა 2024წ. 22 თებერვალს უნივერსიტეტში საორგანიზაციო სტრუქტურის ცვლილების გამო. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს ვიცე-რექტორი აკადემიური საქმიანობის მიმართულებით. სამუშაო ჯგუფი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.

საკუთრივ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია შეიძლება წარმოდგენილი იქნეს როგორც ორმხრივი მიმართულების მქონე პროცესი - "ზემოდან ქვემოთ და ქვემოდან ზევით" ("top to bottom, bottom to top"), რაც სქემატურად შემდეგი სახით შემდეგნაირად უნდა შეიძლება გამოისახოს:



მოსამზადებელ ეტაპზე სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული იყო კითხვარი, რომელიც დაეგზავნა უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურას.


კითხვარის ნიმუში, რომელიც სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში ეგზავნებოდა სტრუქტურულ ერთეულებს

არსებული მდგრამარება	სამომავლო აქტივობები
თქვენი საქმიანობის რომელი აქტივობების/მაჩვენებლების გაუმჯობესება არის საჭირო? (მიუთითოთ კონკრეტულად - თვისობრივი ან რაოდენობრივი მასასიათებლები - პსეუზი უნდა იყოს კონკრეტული)	როგორი გესახებათ ეს მაჩვენებლები/აქტივობები გაუმჯობესების შედეგ?
რა ნაკლოვანი მხარეები აქვთ თქვენი ამჟამინდელი საქმიანობას?	
რა ფაქტორებმა განაპირობა აჩ ნაკლოვანებების არსებობა?	
როგორ შეიძლება ამ ნაკლოვანებების გამზარდობებული ფაქტორების თავიდან აყილება?	
რა რესურსები გჭირდებათ ამისთვის	

სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესი მოიცავს [რამდენიმე ეტაპს:](#)

- I. უნივერსიტეტის საქმიანობაზე მოქმედი გარე და შიდა ფაქტორების შეფასება; ყველა სტრუქტურის და დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა 2018-2024 წლებში განხორციელებული საქმიანობის შედეგების შეფასების, გამოვლენილი ხარვეზებისა და მათი აღმოფხვრისთვის დაგეგმილი ამოცანების შესახებ.
- II. უნივერსიტეტის SWOT ანალიზი, ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმის გათვალისწინება, საჭიროებათა შეფასება.
- III. უნივერსიტეტის მისიის, ხედვის და არსებული ფინანსური და ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე, 2025-2031 წლების პრიორიტეტებისა და ძირითადი მიზნების ჩამოყალიბება (შვიდწლიანი განვითარების გეგმის შედგენა).
- IV. დასახული მიზნების მისაღწევად 2025-2031 წლების განმავლობაში გასახორციელებელი აქტივობების და ამისთვის შესაბამისი ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსების შეფასება.
- V. სტრატეგიული გეგმის პროექტის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება საჯარო განხილვის მიზნით.
- VI. 2025-2031 წწ. სტრატეგიული გეგმის გნხილვა აკადემიურ საბჭოზე და დამტკიცება.
- VII. სამოქმედო გეგმის რეგულარული მონიტორინგის (წლის ბოლოს აკადემიურ საბჭოზე წარდგენით) განხორციელება უნივერსიტეტის მონიტორინგის ჯგუფის მიერ PDCA (Plan-Do-Check-Act, დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე) მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. SWOT ანალიზი




2018-2024 წწ. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედეგებიდან გამომდინარე დადგინდა, რომ თსსუ-ის მნიშვნელოვან პროგრესთან ერთად გამოივეთა მთელი რიგი გამოწვევები, შესაძლებლობები, რისკები, რაც წარმოდგენილია ჩატარებული SWOT ანალიზით.

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • ქვეყანაში და რეგიონში წამყვანი პოზიცია • ფინანსური და მატერიალური მდგრადობა • მზარდი ბიუჯეტი • საკუთარი მულტიპროფილური საუნივერსიტეტო კლინიკები • უსაფრთხო გარემო, რეკრეაციის ზონები • მაღალკვალიფიციური, მოტივირებული აკადემიური, ადმინისტრაციული და სამეცნიერო პერსონალი • განახლებული ბიზნესპროცესობის უწყვეტობის გეგმა და ჯანდაცვის ბაზრის კვლევა • AMEE-ს საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრი (მსოფლიოში მხოლოდ ორი ასეთი ცენტრია, ერთი - თსსუ-ა), სადაც რეგულარულად ტარდება ტრენინგები სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში რეგიონის მასშტაბით • განვითარებული და ინოვაციური ინფრასტრუქტურა • კვლევითი ინსტიტუტები (სამედიცინო ბიოტექნოლოგიის და ფარმაკოქიმიის ინსტიტუტები) და აკადემიური პერსონალის მიერ წარმოებული ფუნდამენტური კვლევები; • ახალგაზრდა დოქტორანტების წახალისების პროგრამა, რომელიც მნიშვნელოვანი ფაქტორია უნიერსიტეტში ახალგაზრდა კადრების მოზიდვის • აკადემიური განვითარების ცენტრი, სადაც მიმღინარეობს პერსონალის ტრენინგი სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში • სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრი (ყველა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგიის და სათანადო უნარ-ჩვევების დასაუფლებლად); • სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში, • კარგად აღჭურვილი კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრი აღჭურვილი კომპიუტერიზებული და მაღალი 	<ul style="list-style-type: none"> • ქვეყანაში სწავლის არასაკმარისი დაფინანსება - დაფინანსება არ განსხვავდება სასწავლო პროგრამების პროფილის მიხედვით; შედეგად სწავლის გადასახადიდან მიღებული შემოსავლის ძირითად წყაროს უცხოელი სტუდენტების სწავლის გადასახადი წარმოადგენს; • მოგების გადასახდით დაბეგვრის განსხვავებული რეჟიმი; • შესყიდვების გართულებული პროცედურა; • ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების არასაკმარისი რაოდენობა; • აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის არასაკმარისი პუბლიკაციები და დაბალი ციტირების ინდექსი; • სწავლის, სწავლების და შეფასების არასაკმარისი პროგრამული უზრუნველყოფა; • ხელოვნური ინტელექტის სასწავლო პროცესში გამოყენების პრობლემა, სახელდობრ, შეფასების და პლაგიარიზმის გამოვლენის თვალსაზრისით; • მაღალი იმპაქტ-ფაქტორების მქონე გამოცემებში პუბლიკაციების დეფიციტი; • ინგლისურენოვანი აკადემიური პერსონალის დეფიციტი; • ქართულ ენაზე თანამედროვე სახელმძღვანელოების სიმცირე; • უნივერსიტეტის დაბალი მაჩვენებელი საერთაშორისო რეიტინგის სისტემებში; • არასაკმარისი კომუნიკაცია უცხოელ და ადგილობრივ სტუდენტებს შორის; • საერთაშორისო აკადემიური პერსონალის დეფიციტი; • ერთობლივი კვლევების არასაკმარისი რაოდენობა; • კლინიკური სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდების ნაკლებად გამოყენება;

<p>სარწმუნობის სიმულატორებით და ელექტრონული სასწავლო პროგრამებით;</p> <ul style="list-style-type: none"> Times Higher Education-ის მდგრადი განვითარების რეიტინგის მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგის მაღალი მაჩვენებელი (https://www.timeshighereducation.com/world-university-rankings/tbilisi-state-medical-university); უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალობა; თანამედროვე ბიბლიოთეკა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები საკუთარი ელექტრონული ჟურნალი - Georgian Biomedical News (https://www.gbmn.org/) უცხოელი სტუდენტების მზარდი რაოდენობა (3500 სტუდენტი 84 ქვეყნიდან) სამეცნიერო ნაშრომების მზარდი რაოდენობა, მათ შორის მაღალი იმპაქტ-ფაქტორების მქონე გამოცემებში; სწავლის, სწავლებისა დ შეფასების თანამედროვე მეთოდები ჯანდაცვის სისტემის მოთხოვნის და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები, მენეჯმენტის და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა; სასწავლო პროცესის და სამეცნიერო კვლევის ინტერნაციონალიზაცია პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესიონალური მონაწილეობით; სტუდენტების, დამსაქმებლების და აკადემიური პერსონალის აქტიური მონაწილეობა უნივერსიტეტის მართვასა და სასწავლო პროცესის დაგეგმვაში; დიპლომისშემდგომი განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი აკრედიტებული პროგრამები; თანამედროვე ბიბლიოთეკა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; სტუდენტთა მხარდაჭერის განვითარებული სამსახურები (სპორტი, ხელოვნება, თეატრი); აბიტურიენტთა საკონკურსო ბარიერის თანდათანობით გაზრდა და მისაღები გამოცდების ყელაზე მაღალი ბარიერი საუკეთესო სტუდენტების მისაღებად; კურსდამთავრებულთა დასაქმების მზარდი მაჩვენებელი (მათ შორის უცხოელი სტუდენტების); 	
---	--

<ul style="list-style-type: none"> კურსდამთავრებულთა (ალუმნის)და დამსაქმებლების ჩართულობა უნივერსიტეტის საქმიანობაში; მონაწილეობა საექსპერტო საქმიანობაში, საკანონმდებლო ინიციატივებისა და სამედიცინო განათლების სტანდარტების შემუშავებაში; სტუდენტების და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობის პროგრამებში მონაწილეობა; საერთაშორისო უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის მზარდი მაჩვენებელი; სტუდენტებთან მჭიდრო თანამშრომლობა და სხვადასხვა ტიპის აქტივობებში მათი ჩართულობა; 	
<p>შესაძლებლობები</p> <ul style="list-style-type: none"> ორმაგი აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დაწერვა; ერთობლივი კვლევითი პროექტების შემუშავება; დამატებით გარე ფინანსური წყაროების მოძიება უცხოელ პარტნიორებთან ერთად; ხელონვური ინტელექტურის პროგრამების დანერგვა სასწავლო პროცესში უცხოელი პარტნიორებთან თანამშრომლობით; AMEE-ს საერთაშორისო თანამშრომლების ცენტრში ახალი ექსპერტების მოძიება; უცხოელი სტუდენტების გეოგრაფიის გაფართოება შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაციისა და ფინანსური ავტონომიის ხარისხის გაზრდის მიზნით; სამეცნიერო კვლევების დაფინანსების ზრდა და კვლევითი პროდუქტების კომერციალიზაცია შესაბამის ინდუსტრიებთან და საერთაშორისო ფონდებთან თანამშრომლობით; მესამე მისიის განხორციელება უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობით; ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება; უცხოეთში მყოფ კურსდამთავრებულებთან (ალუმნი) თანამშრომლობის გაღრმავება; საერთაშორისო კვლევით და საგანმანათლებლო პროექტებში (ERASMUS+, HORIZON Europe) მონაწილეობა; პარტნიორ უნივერსიტეტებში და კლინიკებში მობილობის გაზრდა; დამსაქმებლებთან ერთად გლობალური შრომითი ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება; უნივერსიტეტის პოპულარიზაციის გაძლიერება ქვეყანაში და საერთაშორისო სივრცეში საერთაშორისო რეიტინგის ამაღლება; თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ელექტრონული მართვის სისტემის დაწერვა. 	<p>საფრთხეები</p> <ul style="list-style-type: none"> მაღალი რისკის მქონე გაუთვალისწინებელი გარე ფაქტორები განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ხშირი ცვლილებები; სამიგრაციო პოლიტიკის ცვლილებები; კონკურენცია საგანმანათლებლო ბაზარზე-უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების მზარდი რაოდენობა და პოპულარიზაცია; მაღალკვალიფიციური აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის და წარმატებული კურსდამთავრებულების საზღვარგარეთ მიგრაცია; ქვეყნის და გლობალურ პოლიტიკაზე დამოკიდებულება; უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების არსებული მოდელი; ქვეყანაში ფინანსური და ეკონომიკური არასტაბილობა; კურსდამთავებულთა და ახალგაზრდა სპეციალისტების ნაკლები ინტერესი აკადემიური და სამეცნიერო კარიერის მიმართ;

5. სტრატეგიული პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები (2025-2031)



სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის მნიშვნელოვანი ეტაპია პრიორიტეტების, მიზნების და ამოცანების განსაზღვრა, რასაც საფძვლად უდევს უნივერსიტეტის მისისის, ხედვის, ღირებულებების, სამედიცინო განათლების საერთაშორისო სტანდარტების, განახლებული დარგობრივი მახასიათებლის (2022წ), SWOT ანალიზი; პრიორიტეტების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებულია 2018-2024 წწ. შესრულებული და გადავადებული ამოცანები, გათვალისწინებულია ახალი გამოწვევები და დასახულია მათი გადაჭრის გზები.

აღსანიშნავია, რომ 2018-2024 წწ. სტრატეგიული გეგმით დასახული მიზნების და ამოცანების უმრავლესობა შესრულებულია.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მომავალი 7 წლის განმავლობაში (2025-2031წწ) განისაზღვრა შემდეგი **სტრატეგიული პრიორიტეტები:**

1. ინსტიტუციური განვითარება
2. საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის განვითარება
3. სამეცნიერო კვლევის გაძლიერება
4. სტუდენტების სერვისების განვითარება
5. უნივერსიტეტის რეიტინგის გაუმჯობესება
6. საზოგადეოების განვითარებაში წვლილის შეტანა (მესამე მისია)
7. სამედიცინო განათლებაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების გაიდლაინის შემუშავება

თითოეულ პრიორიტეტული მიმართულების მიხედვით ჩამოყალიბდა შესაბამისი მიზნები და ამოცანები.

1. ინსტიტუციური განვითარება:

1. მართვის ოპტიმიზაცია
2. ფინანსური მდგრადობის შემდგომი გაუმჯობესება
3. მატერიალური რესურსების მართვის განვითარება
4. ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესება
5. ბიბლიოთეკის რესურსების და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება
6. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გაძლიერება
7. მართვის მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება

2025-2031 წლების განმავლობაში ინსტიტუციური გაძლიერებისთვის დასახულია შემდეგი მიზნები და ამოცანები:

1.1. მართვის ოპტიმიზაცია

- მოქნილი მართვის სტრატეგიის შემუშავება შესაძლო რისკების გათვალისწინებით
- მართვის გამჭვირვალობის გაძლიერება

- მართვის პროგრამული უზრუნველყოფა

1.2. ფინანსური მდგრადობის შემდგომი გაუმჯობესება

- ფინანსური მდგრადობის სამოქმედო გეგმის შემუშავება
- ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ინსტიტუციონალიზაციის ხარისხის გაღრმავება

1.3. მატერიალური რესურსების მართვის განვითარება

- სასწავლო, კლინიკური და კვლევითი ინსტრასტრუქტურის შემდგომი განვითარება
- თანამედროვე სტანდარტების საერთო საცხოვრებლის მშენებლობის დასრულება და კეთილმოწყობა
- საუნივერსიტეტო კლინიკების უახლესი სამედიცინო აპარატურით შევსება
- კლინიკური უნარების და მულტი დისციპლინური სიმულაციის ცენტრისთვის დამატებით სტიმულატორების და შესაბამის აპარატურის შეძენა

1.4. ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესება

- ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის შემუშავება
- უნივერსიტეტის პერსონალის სოციალური მხარდაჭერა და მოტივაციის გაძლიერება
- ახალგაზრდა და კვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვა
- პერსონალის კარიერული განვითარების ხელშეწყობა
- პერსონალის გადამზადება სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში
- აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის დონის გაუმჯობესება

1.5. ბიბლიოთეკის რესურსების და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება

- ბიბლიოთეკის რესურსების და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება
- ორიგინალური ქართულენოვანი სახელმძღვანელოების შექმნა
- დამატებით კომპიუტერების და სერვერების შეძენა
- ხელოვნური ინტელექტის გამოყენება
- სასწავლო პროცესის მართვის პროგრამული უზრუნველყოფა

1.6. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავება

- სწავლების, სწავლის და კვლევის ინტერნაციონალიზაცია
- უნივერსიტეტის პერსონალში უცხოელი მკველვარების და პროფესიონელისთვის ჩართვა
- უცხოეთში მყოფ თსსუ-ის კურსდამთავრებულებთან (ასუმო) თანამშრომლობა
- უცხოელ და ადგილობრივ სტუდენტებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პროფესიულ ასოციაციებთან თანამშრომლობა
- უცხოელი სტუდენტებისთვის მიმზიდველი საუნივერსიტეტო გარემოს შექმნა

1.7. მართვის მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება

- მართვის ეფექტურობის სისტემის დაზვეწა.

2. საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესება

2.1. უნივერსიტეტში სწავლის, სწავლებისა და შეფასების ხარისხის გაუმჯობესება

- კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლისა და სწავლების განხორციელების ხელშეწყობა და გაუმჯობესება;
- სწავლების და შეფასების უახლესი მეთოდების დანერგვის და გამოყენების ხელშეწყობა;

- ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაგეგმილ ტრენინგებში და აქტივობებში მონაწილეობა;
- სტუდენტთა მიერ ჩატარებული შეფასებების კვლევების უწყვეტი განხორციელება და დახვეწა;
- ხარისხის უზრუნველყოფაში გარე დაინტერესებული მხარეების (მათ შორის - დამსაქმებლების) ჩართვის გაძლიერება;
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების პროცესის დახვეწა;
- სასწავლო კურსების სილაბუსების უწყვეტი განვითარება;
- დარგობრივი მახასიათებლებისა და პროგრამების სწავლის შედეგების და მათი მიღწევადობის უზრუნველყოფისა და მონიტორინგის პროცესის გაუმჯობესება;

2.2. პრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროგრამების შემუშავება

- პროგრამების შესაფასებლად კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების დინამიკის შესწავლა;
- საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში სტუდენტების და დამსაქმებლების ჩართვა;

2.3. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამების სრულყოფა

- პროგრამების მოქმედ დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანა
- დიპლომირებული მედიკოსის ინტეგრირებული კურიკულუმის შემდგომი სრულყოფა
- სწავლების და შეფასების ახალი მეთოდების დანერგვა
- კლინიკური ეტაპზე სწავლების და შეფასების შესაბამისი მეთოდების დანერგვა
- OSCE-ის გამოცდების სრულყოფა
- პროფესიონალიზმის შეფასების შესატყვისი მეთოდების დანერგვა
- პროგრამებში ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება
- კლინიკური უნარ-ჩვევების სწავლების შემდგომი გაუმჯობესება
- დეპარტამენტების სამეცნიერო მუშაობისათვის ხელშეწყობა;
- უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობით სასწავლო კურსების განხორციელების შემდგომი განვითარება;
- სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნის B2 დონეზე უზრუნველყოფა
- ინგლისურენოვან პროგრამებში ქართული ენის სწავლებისთვის ECTS 12-მდე გაზრდა

2.4. დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის მოდერნიზაცია

- სწავლების და შეფასების ახალი მეთოდების დანერგვა
- სტომატოლოგის პროგრამების შემდგომი სრულყოფა
- პროფესიონალიზმის შეფასების შესატყვისი მეთოდების დანერგვა
- კლინიკური ეტაპზე სწავლების და შეფასების შესაბამისი მეთოდების დანერგვა

2.5. საბაკალავრო პროგრამების მოდერნიზაცია

2.5.1. ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამების შემდგომი მოდერნიზაცია

- OSCE ფორმატის მომდევნო დახვეწა
- ელექტრონული პორტფოლიოს ინიცირება სამაგისტრო პროგრამაზე „რეაბილიტაცია სპორტში“;
- საექტონო საქმის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა;

- სარეაბილიტაციო მომსახურების განვითარების სტრატეგიის (2023 – 2027) განხორციელებაში მონაწილეობა

2.5.2. ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის შემდგომი მოდერნიზაცია

- ფარმაცევტის თანაშემწების მომზადება
- გადამზადების პროგრამების მომზადება დასაქმებული და დაუსაქმებელი სპეციალისტებისათვის

2.5.3. საზოგადოებრივი ჯანდაცვის საბაკალავრო პროგრამების შემდგომი მოდერნიზაცია

- კომპეტენციებზე დაფუძნებული კურიკულუმის შემუშავება
- სწავლების და შეფასების ახალი მეთოდების დანერგვა

2.6 დიპლომისშემდგომი მზადების (რეზიდენტურა) ხარისხის გაუმჯობესება

- არსებული პროგრამების მოდერნიზაცია შემუშავების პროცესში პოტენციური დამსაქმებლების ჩართვით
- რეზიდენტურის კლინიკური ბაზების სრულყოფა

2.7. აკადემიური ჰერსონალის გადამზადება სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში

- სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში ახალი პროგრამების შემუშავება და ტრენინგების ჩატარება;
- AMEE-ს საერთაშორისო თანამშრომლების ცენტრში უცხოელი ექსპერტების მიერ ESME კურსების და სამედიცინო განათლების თანამედროვე მეთოდოლოგიაში ტრენინგების ჩატარება

2.8. აკადემიური ჰერსონალისთვის მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის უზრუნველყოფა

- არსებული პროგრამების მოდერნიზაცია და ახალი უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავება

3. სამეცნიერო კვლევის გაძლიერება

3.1. საუნივერსიტეტო კვლევების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა

- საუნივერსიტეტო კვლევების პრიორიტეტული მიმართულების განსაზღვრა ბიოსამედიცინო დისციპლინების (საბაზისო, კლინიკური, ინტერდისციპლინური) მიმართულებით.

3.2. მიმდინარე და დაგეგმილი სამეცნიერო პროექტების ელექტრონული ბაზის შექმნა და ამოქმედება

3.3. ჰუბლიკაციების ხარისხის განვითარება

- შემუშავდება საერთაშორისო რეფერირებად და იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში ჰუბლიკაციების გამოქვეყნების ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმის შემუშავება

3.4. ახალგაზრდა მეცნიერების ინტეგრაცია სამეცნიერო მუშაობაში.

- პოსტსადოქტორო (Post-Doc) მუშაობის მხარდაჭერა დადგენილი ვადით.
- საზღვარგარეთ მოღვაწე, მათ შორის თსსუ-ის კურსდამთავრებული, დოქტორანტებისა და პოსტდოქტორანტების რეინტეგრაციის მხარდაჭერა.

3.5. სამეცნიერო კვლევების მდგრადობის უზრუნველყოფა.

- შიდასაუნივერსიტეტო გრანტების მინიჭების წესის და მართვის მექანიზმების შემუშავება

3.6. ინტერდისციპლინური, გამოყენებითი და ინოვაციური კვლევითი პროექტების ხელშეწყობის წესის შემუშავება

- ინტერდისციპლინური, გამოყენებითი და ინოვაციური კვლევითი პროექტების განვითარების წესის შემუშავება.

3.6. სამეცნიერო კვლევაში პლაგიარიზმის აღმოფხვრა ხელოვნური ინტელექტის გამოყენების გათვალისწინებით

3.7. თსსუ-ის ელექტრონულ უურნალში სამეცნიერო ნაშრომების წარდგენის მოტივაციის გაზრდა

3.8. უნიერსიტეტის კვლევითი ინსტიტუტების პროდუქტიულობის გაუმჯობესება

- კვლევითი ინსტიტუტების (ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი, ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი) სამოქმედო გეგმების შემუშავება, საერთაშორისო პარტნიორებთან ერთობლივი პროექტების განხორციელება

4. სტუდენტების სერვისების განვითარება

4.1. სწავლისა და სამეცნიერო კვლევის სფეროებში სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებების მუდმივი განვითარება

- სტუდენტების რეგულარული გამოყითხვების ჩატარება სწავლების, კვლევის, სასწავლო გარემოს და უნივერსიტეტის მხრიდან მხარდაჭერის შესახებ;
- დეპარტამენტების მიხედვით სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა;

4.2. სტუდენტების კარიერული ზრდის მხარდაჭერაების სერვისების განვითარება

- დამსაქმებელთა გამოყითხვების უზრუნველყოფა (დამსაქმებლებისგან ინფორმაციის შეგროვება კურსდამთავრებულთა მზადყოფნის, უნარებისა და სამუშაო ადგილზე მუშაობის შესახებ, ანალიზი და შემდგომი სტრატეგიის დაგეგმვა);
- დამსმარე კარიერული სერვისების დაგეგმვა - სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მხრიდან ინფორმაციის შეგროვება კარიერული კონსულტაციის, სემინარების და უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული რესურსების ეფექტურობის შესახებ და ახალი სერვისების, მასტერ-კლასების, ღონისძიებების დაგეგმვა აღნიშნული მიმართულების მუდმივი განვითარების მიზნით;
- პარტნიორული ურთიერთობების დამყარება დამსაქმებლებთან;
- დასაქმების ფორუმების და შესაბამისი აქტივობების ორგანიზება;
- ახორციელებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა სტაჟირების პროგრამებს;
- არსებული დასაქმების ვებ-გვერდის პრეზენტაცია და განვითარება, რომელიც ტექნოლოგიის გამოყენებით მარტივად დააკავშირებს სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს დამსაქმებლებთან;

4.3. სტუდენტების აქტივობებისა და ინიციატივების ხელშეწყობა

- სტუდენტებისათვის საინფორმაციო და საკონსულტაციო სერვისების მუდმივი განვითარება;
- საერთაშორისო და ადგილობრივი კონფერენციების, ლექცია-სემინარების, ტრეინინგების და მასტერკლასების ორგანიზება;
- უნივერსიტეტის სოციალურად დაუცველი, იძულებით გადაადგილებული, ეთნიკური უმცირესობის და უცხოელი სტუდენტების საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- სტუდენტური ორგანიზაციების განვითარება და ხელშეწყობა;

4.4. სტუდენტთა სოციალური მხარდაჭერა და წახალისება

- სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების და სხვა ჯგუფების სწავლის საფასურის დაფინანსების პროგრამა;
- წარმატებული სტუდენტებისთვის დამატებითი დაფინანსების/სტიპენდიების და ჯილდოების დაწესება;

4.5. სტუდენტების სპორტულ, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერა

- სპორტულ ღონისძიებებში სტუდენტთა მონაწილეობის და ორგანიზების მხარდაჭერა როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე;
- კულტურული ღონისძიებების ორგანიზების და სტუდენტთა მონაწილეობის მხარდაჭერა როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე;

4.6. კურსდამთავრებულთა ჩართულობის გაძლიერება

- კურსდამთავრებულთა ჩართულობის გაძლიერება საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. კურსდამტავრებულებთან შეხვედრების, ტრენინგების, საჯარო ლექციების და მასტერკლასების ორგანიზება და განხორციელება;
- ონლაინ კურსდამთავრებულთა პლატფორმის განვითარება, რომელიც ხელს უწყობს პროფესიულ კავშირებს, პრაქტიკის გაზიარებასა და მუდმივ განვითარებას კარიერული მიმართულებით.

4.7. სტუდენტების მხარდაჭერის ინოვაციური სერვისების განვითარება

- ვირტუალური საკონსულტაციო სერვისების ჩამოყალიბება სტუდენტებისთვის მარტივი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, როგორიცაა ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდაჭერა და კარიერული განვითარების რჩევები.
- გაიზრდება სტუდენტთა სოციალური დახმარების პროგრამის საფინანსო ფონდი.
- სწავლის მხარდაჭერის ფონდის გაძლიერება- დახმარების ფონდი, რათა დაეხმაროს სტუდენტებს სწავლასა და პროფესიულ განვითარებაში.
- დაინერგება თანატოლთა სწავლების პროგრამები, რათა ხელი შევუწყოთ სტუდენტებს შორის აკადემიურ მხარდაჭერას.
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინფორმირებას უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით;

5. უნივერსიტეტის რეიტინგის გაუმჯობესება

2.1. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის აღიარება საერთშორისო დონეზე

- საერთაშორისო რეიტინგის ამსახველ პროგრამებში (THE, QS, Webometrics, etc) რეიტინგის მაჩვებნებლების გაუმჯობესება

2.2. უნივერსიტეტის მიღწევების შესახებ ინფორმაციის გავრცელება საერთშორისო დონეზე

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდის ხილვადობის და შინაარსობრივი მხარის გაუმჯობესება. ინგლისურენოვანი ვებ-გვერდის ინფორმაციულობის გაზრდა
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდის სრული რეკონსტრუქცია და შინაარსის განახლება.

2.3. აკადემიური პერსონალის და დოქტორანტების პუბლიკაციების ციტირების ინდექსის გაზრდა

- აკადემიური პერსონალის, მკვლევარების და დოტორანტების წახალისება საერთაშორისო მნიშვნელობის (მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე) ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნების.

6. საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანა (მუსამე მისიის განხორციელება)

- 6.1. საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხებზე საჯარო ლექციების, კონფერენციების, ტელეგადაცემების, საქველმოქმედო აქციების ორგანიზება
- 6.2. საზოგადოების კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის დაცვისთვის მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავება
- 6.3. გამოყენებითი კვლევების კომერციალიზაცია (მეწარმეობა)

- ბიოტექნოლოგიის და ფარმაკოქიმიის ინსტიტუტების კვლევითი საქმიანობის კომერციალიზაციის სამოქმედო გეგმები

- 6.4. სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპის განხორციელება საზოგადოებას-თან მიმართებაში

- ჯანდაცვის საკითხებზე უწყვეტი განათლების პროგრამების შემუშავება

7. სამედიცინო განათლებაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების სტრატეგიის შემუშავება

- 7.1. ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარება

- სამედიცინო განათლებაში ხელოვნური ინტელექტის შესახებ გაიდლაინის შემუშავება
- ხელოვნური ინტელექტის შესახებ არჩევითი საგნის შექმნა
- პლაგიარიზმის დეტექციის შესაბამისი პროგრამის მოძიება

6.მონიტორინგი და შეფასება



უნივერსიტეტის საქმიანობა დინამიური პროცესია, რომელზეც მრავალი გარე და შიდა ფაქტორი ახდენს ზემოქმედებას. ამდენად, წინამდებარე სტრატეგიული გეგმა, სავარაუდოდ, განიცდის ცვლილებებს. მონიტორინგი და დასახული მიზნების შესრულების შეფასება სტრატეგიული გეგმის განხორციელების ძირითადი ინსტრუმენტია და ეფუძნება PDCA ციკლის მესამე - Check (შეამოწმე) - ეტაპს. ამ მნიშვნელოვანი ფუნქციის შესასრულებად უნივერსიტეტში შექმნილია **სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის ჯგუფი**, რომელშიც შედიან უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების, სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები. ყოველი წლის ბოლოს ჯგუფი სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგების დეტალური ანალიზის საფუძველზე ამზადებს ანგარიშს, რეკომენდაციებს სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელიც წარედგინება აკადემიურ საბჭოს.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში და ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილების გათვალისწინებით, 2024 წლის თებერვალში თსუ-ის რექტორის ბრძანებებით, განახლდა სტრატეგიული განვითარების ბებმის და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის ჯგუფების შემადგენლობა.

მონიტორინგი ხორციელდება უნივერსიტეტის საქმიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ინდიკატორების მიხედვით. სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული თითოეული მიზნის და ამოცანის შესრულებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურებს ეგზავნებათ შესაბამისი კითხვარი, რომელსაც თანდართული აქვს შეფასების თვლადი ინდიკატორები (სტრუქტურის პროფილის მიხედვით).

ის აქტივობები, რომლებიც არ არის განხორციელებული, გადადის მომდევნო წლის გეგმაში. სტრატეგიულ გეგმაში შედის ახალი ამოცანები, რომლებიც ჩნდება საქმიანობის პროცესში და არ არის გათვალისწინებული გეგმის შედგენისას. ამდენად, უნივერსიტეტის მართვა არის საკმაოდ მოქნილი, რომ შეძლოს დროული ცვლილებების შეტანა გეგმაში, გათვალისწინებული იქნეს ახალი შესაძლებლობები და რისკები, რითაც ის ინარჩუნებს მისის შესრულების ძირითად მიმართულებას. აღნიშნულის მაგალითია COVID-19 პანდემიის დროს მთელი რიგი დაგეგმილი აქტივობების გადატანა 2023 წლისთვის.

უნივერსიტეტის საქმიანობის შესაფასებლად განისაზღვრება ძირითადი ინდიკატორების ნუსხა, რომლებითაც ყოველწლიურად ხელმძღვანელებს მონიტორინგის ჯგუფი. უნივერსიტეტის საქმიანობის ანალიზის და განმავითარებელი შეფასების ანგარიშის საფუძველზე 2018-2024 წწ. სტრატეგიულ გეგმაში შემდეგი ცვლილებები იქნა შეტანილი:

- ახალი რედაქციით (უფრო კონკრეტულად) იქნა წარმოდგენილი უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლებიც განხილული იქნა უნივერსიტეტის სტრუქტურებსა და პერსონალის მიერ და დამტკიცებული იქნა აკადემიურ საბჭოზე; შესაბამისი ცვლილებები იქნა შეტანილი წარმოდგენილ სტრატეგიულ გეგმაში.
- COVID-19 პანდემიის პერიოდში სასწავლო პროცესის მოდიფიკაციის გამო შესაბამისი ცვლილებები განიცადეს სამოქმედო გეგმება.
- მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის განახლების გამო (2022 წ.) შეიქმნა შესაბამისი დოკუმენტი და ცვლილებები შევიდა 2024 წლის სამოქმედო გეგმაში.
- უნივერსიტეტის სტრუქტურების ოპტიმიზაციის მიზნით შეიქმნა ახალი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც აისახა სტრატეგიულ გეგმაში.



7. თსსუ-ის სამოქმედო გეგმა 2025 - 2027

სტრატეგიული მიზნები	ამოცანები	აქტივობები	პასუხიმგებელი პირები/ სტრუქტურები	დაფინანსებ ა და დაფინანსებ ის წყარო/ები	შესრულე- ბის ვადები	შეფასების ინდიკატორები
1. ინსტიტუციური განვითარება						
მართვის ოპტიმიზაცია	მართვის პოლიტიკის სრულყოფა	მართვის არსებული სისტემის რეგულარული შეფასება	რექტორის აპარატის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, იურიდიული სამსახური	დამატებითი ფინანსური რესურსი არ სჭირდება	ყოველწლიუ- რი პროცესი	ადმინისტრაციულ მართვასთან დაკავშირებული იურიდიული დოკუმენტები (2025-2027 წლების მონაცემები)
	საორგანიზაციო სტრუქტურის ოპტიმიზაცია და ცალკეული სტრუქტურების კოორდინაციის გაუმჯობესება	სორგანიზაციო სტრუქტურის ეფექტურობის ანალიზი და მათი ოპტიმიზაციის განხორციელება	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, იურიდიული სამსახური	დამატებითი ფინანსური რესურსი არ სჭირდება	ყოველწლიუ- რი პროცესი	სტრუქტურული ერთეულების განახლებული სქემა (2025-2027 წლების მონაცემები)
		დაინტერესებული მხარეების და კურსდამთავრებულე- ბის მეტად ჩართვა	რექტორის აპარატის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,	დამატებითი ფინანსური რესურსი არ სჭირდება	ყოველწლიუ- რი პროცესი	საუნივერსიტეტო საქმიანობაში ჩართული კურსდამთავრებულთა (alumni), დამსაქმებელთა. რაოდენობა; კადრების

		საუნივერსიტეტო საქმიანობაში	ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, სტუდენტებთან და კურსდამთავრებუ- ლებთან ურთიერთობის სამსახური			გადახალისება; ახალგაზრდების მოტივაციის გაზრდა დოქტორანტების წახალისების პროგრამით დასაქმებულთა რაოდენობა. (2025-2027 წლების მონაცემები)
	2028 წლის კლასტერული აკრედიტციისთვის მზადება	უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურის ეფექტური საქმიანობა და კოორდინაცია ავტორიზაციის გასავლელად	რექტორი, ვიცე- რექტორი აკადემიური საქმიანობის მიმართულებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტების დეკანები, პროგრამების ხელმძღვანელები	თსსუ-ის საკუთარი შემოსავლები- დან	09.2027	კლასტერული აკრედიტაციისთვის მზადყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
ეფექტური ფინანსური მართვა	უნივერსიტეტის ფინანსური მენეჯმენტი	<ul style="list-style-type: none"> • 2025-2031 წწ. ბიუჯეტის შემუშავება; • 2025 , 2026, 2027 წლების ბიუჯეტის ფორმირება 	კანცლერი, კანცლერის მოადგილე ფინანსური რესურსების მართვის დარგში; ეკონომიკური დეპარტამენტი	დამატებით ფინანსურ რესურსს არ საჭიროებს	01.25 12.26 12/27	<ul style="list-style-type: none"> • 2025-2031 წწ. პროგნოზული ბიუჯეტი; • 2025,2027,2027 წლების ბიუჯეტები
	ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ინსტიტუციონალი- ზაციის ხარისხის გაღრმავება	საბიუჯეტო პროცესის ერთიანი ელექტრონული მართვის სისტემის სრულყოფა	კანცლერის მოადგილე ფინანსური რესურსების მართვის დარგში; ეკონომიკური დეპარტამენტი; საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური	თსსუ-ს საკუთარი შემოსავლ. 10 000 ლარი	11.2025	<ul style="list-style-type: none"> • გადამზადებული შესაბამისი კადრები; • საბიუჯეტო პროცესი მიმდინარეობს დადგენილი წესის შესაბამისად; • საბიუჯეტო პროცესის ყველა მონაწილე ჩართულია ერთიან ელექტრონულ სისტემაში
ადამიანური რესურსების	ადამიანური რესურსების მართვა	ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, იურიდიული სამსახური	დამატებითი ფინანსური რესურსი არ სჭირდება	ყოველწლი- ური პროცესი		ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის ცვლილებები (2025- 2027 წლების მონაცემები)

მართვის გაუმჯობესება	უნივერსიტეტის პერსონალის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების სისტემის შემუშავება	აკადემიური და მოწვეული პერსონალის ყოველწლიური შეფასების განხორციელება	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური	დამატებითი ფინანსური რესურსი არ სჭირდება	ყოველწლი- ური პროცესი	აკადემიური და მოწვეული პერსონალის ყოველწლიური შეფასების შედეგები (2025-2027 წლების მონაცემები)
	ადმინისტრაციული პერსონალის ეფექტურობის შეფასება	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური	დამატებითი ფინანსური რესურსი არ სჭირდება	ყოველწლი- ური პროცესი	ადმინისტრაციული პერსონალის ყოველწლიური შეფასების შედეგები (2025-2027 წლების მონაცემები)	
	სამეცნიერო პერსონალის პროდუქტიულობის შეფასება	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური	დამატებითი ფინანსური რესურსი არ სჭირდება	ყოველწლი- ური პროცესი	სამეცნიერო პერსონალის ყოველწლიური შეფასების შედეგები (2025-2027 წლების მონაცემები)	
უნივერსიტეტის პერსონალის სოციალური მხარდაჭერა და მოტივაციის გაძლიერება	უნივერსიტეტის პერსონალის კრაფორდილების ყოველწლიური კვლევა	ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	დამატებითი ფინანსური რესურსი არ სჭირდება	ყოველწლი- ური პროცესი	პერსონალის კრაფორდილების კვლევის ანგარიშები და შედეგების ანალიზი (2025-2027 წლების მონაცემები)	
	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პერსონალის ფინანსური მხარდაჭერა	ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, კანცლერის მოადგილე ფინანსური რესურსების მართვის დარგში, ეკონომიკური დეპარტამენტი	თსსუ-ს საკუთარი შემოსავალ. 20000 ლარი	ყოველწლი- ური პროცესი	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პერსონალის რაოდენობა და მათთვის გაწეული ფინანსური მხარდაჭერა (2025-2027 წლების მონაცემები)	
	პერსონალის მოტივაციის და პროდუქტიულობის გაუმჯობესება წახასილების შესაბამისი საშუალებების გზით	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	თსსუ-ს საკუთარი შემოსავალი	ყოველწლი- ური პროცესი	პერსონალის წახასილების წესი; პერსონალის რაოდენობა, რომელიც იქნა მატერიალურად წახასილებული (2025-2027 წლების მონაცემები)	

	ახალგაზრდა და კვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვა	ახალგაზრდა და კვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვის გაუმჯობესება	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური,	დამატებითი ფინანსური რესურსი არ სჭირდება	ყოველწლიური პროცესი	2025-2027 წლებში მიღებული ახალგაზრდა პერსონალის რაოდენობა
	პერსონალის კარიერული განვითარების ხელშეწყობა	პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებად საზღვარგარეთ სტაჟირების დაფინანსება	კანცლერი, ვიცე-რექტორები აკადემიური და მეცნიერების მიმართულებებით, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	თსსუ-ს საკუთარი შემოსავლიდან 50 000	ყოველწლიური პროცესი	საზღვარგარეთ სტაჟირებაზე გაგზავნილი პერსონალის რაოდენობა (2025-2027 წლების მონაცემები)
		პერსონალის გადამზადება სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში აკადემიური განვითარებისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტი	აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტი	თსსუ-ს საკუთარი შემოსავლებიდან 35 000	ყოველწლიური პროცესი	სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში გადამზადებული აკადემიური პერსონალის და მოწვეული მასწავლებლების რაოდენობა (2025-2027 წლების მონაცემები)
		პერსონალის გადამზადება სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში თსსუ-ის AMEE-ს საერთაშორისო თანამშრომლების ცენტრში	აკადემიური განვითარების და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის AMEE-ს საერთაშორისო თანამშრომლების ცენტრი	დამატებითი ფინანსური რესურსი არ სჭირდება	ყოველწლიური პროცესი	სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში გადამზადებული აკადემიური პერსონალის და მოწვეული მასწავლებლების რაოდენობა (2025-2027 წლების მონაცემები)

<p>მატერიალური რესურსების განვითარება</p>	<p>აკადემიური პერსონალის და მოწვეული მასწავლებლების ინგლისური ენის ცოდნის დონის გაუმჯობესება და 2022 წლის დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანა</p>	<p>აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის დონის დადგენა განახლებული დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების შესაბამისად</p>	<p>ვიცე -რექტორი აკადემიური მიმართულებით, უცხოური ენების ცენტრი</p>	<p>დამატებითი ფინანსური რესურსი არ სჭირდება</p>	12/2024	<p>აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის შეფასების შედეგები</p>
	<p>უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ს დასაქმების მაჩვენებლის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დახვეწა</p>	<p>კურსდამთავრებულთა ბაზის (Inter-Alumni) ბაზის პოპულარიზაცია დამსაქმებელთა შორის.</p>	<p>ვიცე -რექტორი აკადემიური მიმართულებით, სტუდენტებთან და კურსდამთავრებუ- ლებთან ურთიერთობის სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი</p>	<p>დამატებითი ფინანსური რესურსი არ სჭირდება</p>	ყოველწლი- ური პროცესი	<p>უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ყოველწლიურად განახლებადი ბაზა; მათთან ურთიერთობს დამყარების მაჩვენებელი (2025-2027 წლების მონაცემები)</p>
	<p>უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ჩართვა უნივერსიტეტის საქმიანობაში</p>	<p>კურსდამთავრებული ს ჩართვა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვასა და შემუშავებაში და უნივერსიტეტის სხვა საქმიანობაში</p>	<p>ვიცე -რექტორი აკადემიური მიმართულებით, სტუდენტებთან და კურსდამთავრებუ- ლებთან ურთიერთობის სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი</p>	<p>დამატებითი ფინანსური რესურსი არ სჭირდება</p>	ყოველწლი- ური პროცესი	<p>კურსდამთავრებულთა რაოდენობა, რომელიც ჩართული არიან უნივერსიტეტის საქმიანობაში (2025- 2027 წლების მონაცემები)</p>

			ვიცე -რექტორი კლინიკური საქმიანობის მიმართულებით ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი			
	თანამედროვე სტანდარტების საერთო საცხოვრებლის აშენება და კეთილმოწყობა	საერთო	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, კანცლერის მოადგილე ინფრასტრუქტურული პროექტების სტრატეგიული განვითარების დარგში, ვიცე -რექტორი კლინიკური საქმიანობის მიმართულებით ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი	თსსუ-ს საკუთარი შემოსავლ. 3000000 ლარი	2021-2025	საერთო საცხოვრებლის აშენების დასრულება
	ფსიქიატრიისა და ნარკოლოგიის დეპარტამენტების სასწავლო და კლინიკური ბაზების განვითავსებლად კლინიკის შენებლობის დასრულება და კეთილმოწყობა		ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, კანცლერის მოადგილე ინფრასტრუქტურული პროექტების სტრატეგიული განვითარების დარგში, ვიცე -რექტორი კლინიკური საქმიანობის მიმართულებით ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი	1 500 000	2026	დასრულებული და აღჭურვილი ფსიქიატრიისა და ნარკოლოგიის დეპარტამენტების სასწავლო და კლინიკური ბაზები
